ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—ხუთშაბათი, 23 ნოემბერი 1900 წ. № 1306

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 23 ნოემბერს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ გლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ
პირველად ახალი პიესა
I
კაპეშანი
დრამა 5 მოქმედ. შპაჟინსკისა თარგ. მარჯანიშვილისა.
II
მ ა თ ი კ ო
მესამე მოქმედება ავ. ცაგარელისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.-ბ. ნნი ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, გარელი, მდივანი და სხვ.; ბ-ნნი: აბაშიძე, გლ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხვ.
დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვ. გუნია.**
მზადდება გ. მესხის საბენეფისოდ „მადამ-სან-ჟენი“ „ლენიზა“; „დავით რაბინი“ და სხვ. (3—3)

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ნოემბერს

შანხაი. ვუნჩანის მეფის მოადგილემ ჩანჩიდუნმა მიიღო სინანფუდან დეპეშა, რომლითაც ნაბძანები აქვს მოსპოს ამას იქით სურსათის გზავნა პროვინცია შანსიში. ხმა დადის, რომ იმპერატორი დაუყოვნებლივ პეკინში დაბრუნდებაო. შემდეგ იტყობინებიან, რომ ქვრივი დედოფალიც მოჰყვება მას, თუ იმპერატორს კარგად დაუხვდებიან. ეს ხმა გამოწვეულია, ალბად, იმ მოწოდებით, რომელიც იმპერატორმა ამ მცირე ხანში დაურიგა მეფის მოადგილეებს და სთხოვა,—დაუმტკიცეთ დედოფალს, რომ კეთილ-გონივრობა მოითხოვს პეკინში დაბრუნებასო.

პეკინი. დაჩემების სამწუხარო პოლიტიკით გატაცებულთ ფრანგებისა და გერმანელების გენერლებმა, ვალდერზეეს ნებართვით, ჩამოიღეს პეკინის ქალაქის გალავნიდან მშვენიერი ასტრონომიული ინსტრუმენტები, რომელნიც იეზუიტებისაგან იქმნენ დადგმულნი და ორი საუკუნის განმავლობაში შეადგენდნენ პეკინის ღირსშესანიშნავს ძეგლსა. ეს ინსტრუმენტები ისე მშვენივრები არიან, რომ თვით ჩინელებმა, რომელნიც ამას წინად მომხდარი უწესოების დროს ყველაფერსა ჰსპობდნენ, რაც კი მათ უცხოელებს მოაგონებდათ,—იმათაც კი ხელუხლებლად დასტოვეს. ინსტრუმენტების ერთი ნახევარი წაღებულ იქმნება პარიზში, მეორე ნახევარი—ბერლინში. მათ წამოღებას ასე განმარტავენ: რადგანაც მოსალოდნელი არაა, რომ იმპერატორის სახლობა პეკინში დაბრუნდეს, და ამის გამო პეკინი სატახტო ქალაქი აღარაა, ამიტომ ამ გვარი ძვირფასი ინსტრუმენტების დატოვება შეუძლებელი არის; მათ უეჭველად მოსპობდნენო.

პეკინი. ვალდერზეე შიშს აცხადებს პეკინის მიდამოებში ექსპედიციების გაგზავნის გამო, მაგრამ ჰფიქრობს, რომ ეს ექსპედიციები საჭირონი და სასარგებლონი არიან. ინგლისის ოფიცრების უმეტესობასაც სასარგებლოთ მიაჩნიათ ეს ექსპედიციები. ინგლისელებს უჭირავთ ზეცის ტაძარი, ამერიკელებს—ტაძარი იმპერატორების წინაპარებისა, ფრანგებს აღმოსავლეთის აკლდამები, გერმანელებს—დასავლეთის აკლდამები. გერმანიისა და საფრანგეთის ელჩები ჯერ კიდევ ელიან თავიანთ მთავრობათაგან პასუხებს შესახებ განზრახულ მოთხოვნილებათა.

ტიანძინი. გერმანიის ჯარები ძალიან შეწუხებულები არიან სუსხიანი ამინდებისაგან; ძალიან ბევრნი იხოცებიან. სამხედრო მოხელენი საჭიროდ არა სთვლიან დაუშალონ ჩინელებს ტელეგრაფის აღდგენა: ეტყობა იმათ საშიშრად არ მიაჩნიათ ის გარემოება, რომ აქაურ ჩინელებს გაუადვილდებათ მაშინ დაუბრკოლებლივ მიწერ-მოწერა იმპერატორის სახლობასთან.

ლონდონი. ახალი პარლამენტი შეიკრიბება დღეს და თავდაპირველად შეუდგება სპიკერის არჩევას. სეფე-სიტყვის წაკითხვა დანიშნულია ხუთშაბათს.

ბერლინი. კრიუგერს განზრახვა აქვს გაიგიდგან წავიდეს რომში.

ბერლინი. გერმანიის საზღვარზე მდებარე სადგურ გერბერსტალიდან კრიუგერმა გაუგზავნა იმპერატორ ვილჰელმს დეპეშა: „დავდგი რა ფეხი გერმანიის ნიადაგზე, არ შემიძლიან არ გამოვუცხადო თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას გრძნობანი მეგობრული განწყობილებისა და ღრმა პატივისცემისა“.

ვარშავა. თავად იმერეთინსკის გვამის გასვენება პეტერბურგის გზის სადგურზე დანიშნულია 21 ნოემბრისათვის.

21 ნოემბერს

ვაშინგტონი. ხმა არის, რომ უკანასკნელის ინსტრუქციების გამო, რომლებითაც ამერიკის ელჩს კონჯერს მისწერეს თათბირი იქონიოს ინგლისის ელჩთან, მას შესამჩნევად წინ წაუწევია შეთანხმების საქმე. შეთანხმება შეცვლილია იმ დედა-აზრების დაგვარად, რომელნიც ამერიკის მთავრობამ აცნობა სახელმწიფოებს სხვა და სხვა თავის წინადადებებში. რადგანაც შეერთებული შტატები დარწმუნდნენ, რომ სახელმწიფოებს არა სწადიანთ სრულიად დასასჯელ ექსპედიციების მოსპობა, ისინი ეცადნენ დაარწმუნონ სახელმწიფონი, რომ ამისთანა პოლიტიკა გონივრული არ არის და ძლიერ აგვიანებს ჩინეთის მოხელეთა პეკინში დაბრუნებას და აგრეთვე საქმის საბოლოოდ გადაწყვეტას ჰფიქრობენ, რომ შეერთებულ შტატების აზრი კარგად იქმნება მიღებული გარეშე საქმეთა სამინისტროებში და გამაფრთხილებელ გავლენას იქონიებს ოფიცრებზე.

ვაშინგტონი. მაკ-კინლეის ეპისტოლეში ნათქვამია: „რუსეთთან შევთანხმდით, რომ ბერინგის ზღვაში დაჭერილი ამერიკელ მეგემეთა საჩივარი გაირჩეს მედიატორეთა სამართლით. ამაში ჩვენ ვხედავთ ისეთი პოლიტიკის ნიმუშს, რომელიც შომხრეა იმისა, რომ საერთაშორისო დავები მედიატორეთა სამართლით გადასწყდებოდნენ ხოლმე“.

შემდეგ პრეზიდენტი მადლობას უცხადებს რუსეთს შემწეობისათვის, რომელიც აღმოსავლეთ ციმბირის მოხელეებმა გაუწიეს მანჯურიიდან გამოქცეულ ამერიკელებს.

ბერნი. შტატების საბჭომ მიიღო გააგის კონფერენციის გადაწყვეტილება და აგრეთვე კონვენციები შესახებ საერთაშორისო დავების მშვიდობიანად გარჩევისა და შესახებ ჟენევის კონვენციის გავრცელებისა საზღვაო ომებზედაც; საბჭომ მიიღო აგრეთვე დეკლარაცია მასზე, რომ აღკრძალულ იქმნას ჰაეროსტატებიდან ასაფეთქი ყუმბარების სროლა, ხმარებულ არ იქმნას ისეთი ყუმბარები, რომელნიც სულის შემხუთველ და მხამიან გაზებს ავრცელებენ, ხმარებულ არ იქნას ისეთი ტყვიები, რომლებიც ფართოვდებიან და იკუმშებიან ადამიანის სხეულში.

ტიანძინი. ხმა დადის, რომ გერმანიის ჯარის 4 როტა 35 მილის სიშორით პაოტინფუდან დასავლეთით დიდ გაჭირვებაში არის; ფრანგების 8 როტა წავიდა პაოტინფუდან 10 ნოემბერს მათ საშველად. მათ თან წაიღეს 5 დღის სამყოფი საგზალი. პაოტინფუში მშვიდობიანობაა ჰსუფევს.

პეკინი. პეკინში დაბრუნებულ ჩინელების რიცხვი მატულობს როგორც სჩანს, ისინი მეგობრულად უყურებენ ევროპიელებს; სხვა-და-სხვა სახელმწიფოების სამხედრო მოსამართლეებს მოსდით ყოველ დღე ცნობები შესახებ დაბრუნებულ მოკრივეთა ბინისა; ისინი იჭერენ მათგან მხოლოდ იმ პირებს, რომელნიც ერივნენ ჩინელ ქრისტიანების დახოცვაში.

პარასკევს ტიანძინიდან პეკინში მოვიდა ლოკომოტივი, პირველი საელჩოებზე თავს დასხმის აქეთ. ხალხის წაყვანას რკინის გზა დაიწყებს მხოლოდ 3 დეკემბერს.

ბერლინი. ვალდერზეე იუწყება პეკინიდან, რომ გეილის (იორკის მოადგილეა) რაზმმა ამართა გერმანიის დროშა მინთა აკლდა-

მეზზე, დასაჯა ახლო მდებარე სოფლები ქრისტიანთა დახოცვისათვის და აქვე დაბრუნდა.

ბერლინი. დიდი ყურადღება მიიქცია აქ იმ გარემოებამ რომ სასახლის მოძღვარმა გუშინ წირვის დროს მოიხსენია კრიუგერი და სთქვა: „ღმერთი იყვეს შემწე და მხსნელი მისი და მისი ერისა“.

ლონდონი. პარლამენტი დღეს შეიკრიბება. სპიკერად არჩეულ იქმნა გელლი. ხვალ პარლამენტის წევრები ფიცს მიიღებენ.

ლივადია, 21 ნოემბერს, დილის 11 საათზე. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე ძალიან კარგად გაატარა; სალამოს სიცხე 37,1 ჰქონდა, მაჯა—80; დღეს დილით სიცხე—35,9, მაჯა—66. თვით-გრძნობიერება ძალიან კარგი აქვს. დღისით მისმა უდიდებულესობამ რამდენიმე ხანი სავარძელში დაჰყო. ლეიბ-ქირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი; ექიმი ტიხონოვი.

22 ნოემბერი

ლივადია. 22 ნოემბერი, დილის 11 საათზე. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე და წარსული ღამე ძალიან კარგად გაატარა. სალამოთი სიცხე 37 აქვს, მაჯა—78; დღეს დილით—36,1, მაჯა—68; ავადმყოფობიდან გამობრუნება ნორმალურად მიმდინარეობს. ლეიბ-ქირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი, ექიმი ტიხონოვი.

პეტერბურგი. დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და დიდი მთავრის ალექსანდრეს ასული ოლგა 21 ნოემბერს მოვიდნენ გატჩინოში.

ნარვის ბრძოლის ორასი წლის განვლის აღსანიშნელად ნარვში ძეგლის კურთხევის დროს ხელმწიფე იმპერატორისაგან მოვიდა შემდეგი დეპეშა: „მახარებს კურთხევა იმ ძეგლისა, რომელიც აღმართულია ნარვის ბრძოლაში დახოცილთა პატივსაცემლად ბრძოლის დღიდან ორასის წლის განვლის შემდეგ. ეჭვი არა მაქვს, რომ პეტრეს რიგადის და ბომბარდირთა როტის სასიქადულო პოლკების ჩამომავალნი არ უღალატებენ თავთავიანთ ბრწყინვალე წინაპართა აღთქმას“.

21 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, გარდაიცვალა ცნობილი მწერალი მიხეილოვი—შელლერი.

რომი. საბერძნეთის ტახტის მემკვიდრემ გიორგიმ გამოსათხოვებელი დარბაზობა გადაუხადა მეფეს და სალამოთი რუსეთის საელჩოში ისადილა. ხვალ მემკვიდრე კორფუში წავა და ბრინდიზიზე გაივლის.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება ბლუმფონტენიდგან, რომ ცხენოსანი ჯარი, რომელსაც წინამძღოლობს ნოქსი, მთელი დღე ებრძოდა დღეს ბურებს გოლგეგოფთან სამის მილის მოშორებით, ბიტულიიდან ჩრდილოეთისაკენ, სმიტსფილდის გზაზე. ბურები, რომლებსაც თან ჰქონდათ დიდძალი სურსათი, შეფერხდნენ და იძულებულნი გახდნენ უკან დაეწიათ. ინგლისელები დაედევნენ მათ და რამდენიმე შეტაკების შემდეგ ტყვედ წამოიყვანეს 30 ბური; წავართვით აგრეთვე ცოტაოდენი საქონელიც. სეტლმა მიაღწია ეგერსფონეინამდე, პეჯეტმა უკან დააწევინა მტერს დევეფონტეინთან. კომატიპორტთან მყოფი ჯარის ჯანმრთელობა თან-და-თან უკეთესდება.

დურბანი. 50 კარგად შეიარაღებული ცხენოსანი ბური გაჩნდა უეცრად ერთ ადგილს ლედი-სმიტის დაახლოვებით და გაძარცვა იგი. ერთმა გაძარცულთაგანმა გუშინ ლედისმიტში ამბავი მოიტანა, რომ ეგეთივე რაზმი მახლობლადაც გაჩნდაო.

ვლადივოსტოკი. აქ აკურთხეს ფოსტა-ტელეგრაფის ახალი შენობა და იმავე დღეს დაიწყო მოქმედება ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამ.

ნოვო-ბუხარა. 20 ნოემბერს დასრულდა რკინის გზის ტოტი ქალაქ ბუხარასაკენ მიმავალი.

ტიანძინი. პაოტინფუდან დასავლეთით გერმანელებს დაეცა 2500 მოკრივე და გერმანელებს მოუკლეს 20 კაცი და მრავალი დაუჭრეს.

ბერლინი ვალდერზეე იტყობინება პეკინიდან, რომ ძრიელი რაზმი მუდმივი ჯარისა გენერლის წინამძღოლობით დაბანაკებულია ტციანთან 25 კილომეტრის მოშორებით ტიანძინიდან სამხრეთისაკენ; იმის წინააღმდეგ ტიანძინიდან გაიგზავნა ორი რაზმი პოლკოვნიკი რორშეიდტის და მაიორი ფოლკენგაინის წინამძღოლობით, საიმპერატორო არხის ორსავე მხრით.

კაპშტადტი. 11 კაცი რომლებზედაც ეჭვი შეჰქონდათ, ვითომ მათ რობერტსის მოკვლა განიზრახესო, სამზღვარ გარეთ გაიგზავნებიან, რადგანაც მათი წინააღმდეგი საბუთები საკმაო არ აღმოჩნდა მათი სამართალში მიცემისათვის. ყუმბარები ვერ იპოვეს; შეპყრობილები იტალიელები არიან.

ზეტებორგი. გეტებორგის სამეცნიერო საზოგადოებამ გრაფი ლევ ნიკოლოოზის-ძე ტოლსტოი თავის წევრად აირჩია.

შანხაი. აქაურმა კონსულებმა ერთ ხმივ დაადგინეს მიიღონ არსებულზე უფრო სასტიკი ზომები წინააღმდეგ იარაღის შემოტანისა იმ პირობით კი, რომ ევროპიელებსაც აეკრძალოთ აგრეთვე შემოტანა, როგორც იარაღისა, ისე იარაღის გასაკეთებელი მასალისა. იაპონიის კონსულმა განაცხადა, რომ მისმა მთავრობამ უბრძანა—შეაჩეროს ზემოხსენებული დადგენილობის სისრულეში მოყვანა.

პეკინი. ყველა ელჩებმა მიიღეს თავთავიანთ მთავრობებისაგან ცნობანი საერთო ნოტის შესახებ. ხვალ ელჩებს ექნებათ სხდომა. ელჩები იცავენ საიდუმლოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკმაო ცნობებია მთავრობათა პასუხების შესახებ და ეჭვი არ არის, რომ ელჩების ხვალინდელ სხდომას კეთილი შედეგი მოჰყვება. ცინმა და ლიხუნგჩანგმა გამოაცხადეს: მათ შეიტყვეს სახელმწიფოთა შესახებ, რომ ჩინეთს უეჭველად ჰსურს ისეთი მშვიდობიანობა, როგორიც ეკადრება სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ღირსებებს, მაგრამ რამდენიც უცხოელთა ჯარები დიდხანს დაჰყოფენ ჩილის პროვინციაში, მით უფრო ძნელი იქნება საქმის დაბოლოვება.

მისსიონერები და სხვა პირნი, რომელნიც დაესწრნენ მისსიებზე თავ-დასხმას, წინააღმდეგნი არიან სასჯელის შემსუბუქებისა და თხოულობენ, რომ წარჩინებული მოხელენი, რომელთაც ბრალი აქვთ არეულობაში, დასჯილ იქმნან.

ამითივე აზრით, ჩინეთში უნდა დარჩეს დატოვებული საკმაოდ ძლიერი რაზმი, რათა უზრუნველ ყოფილი იქმნეს წეს-რიგი. უამისოდ ხელ-ახალი არეულობა აუცილებელია.

კაპშტადტი. რადგანაც ბრიტანელთა საწინააღმდეგო მოძრაობა დიდის ენერგით ვრცელდება, ყველა გულ-შეუცვლელ მოქალაქეს იმედი აქვს, რომ მიღებულ იქმნებიან ჯეროვანი ზომები კაპის ახალ-შენში მოსალოდნელი საყოველთაო ომის ასაცდენათ.

ტიანძინი. ტანვენხუანი, რომელიც ჰხელმძღვანელობდა პაოტანფუში მისიონერებზე თავდასხმას, აქ მოვიდა და მას ქუჩაში მოსდევდა გერმანელების ცხენოსანთა რაზმი; მას გადასცემენ დროებით მთავრობას სიკვდილით დასასჯელად.

ვაშინგტონი. მაკ-კინლეის ეპისტოლეში კონგრესის მიმართ დაწვრილებით არის ლაპარაკი ჩინეთის კითხვის შესახებ. ჩინეთის კითხვის გარდა, სხვა სახელმწიფოებთან ჯეროვანი განწყობილება ჰსუფევს. ეპისტოლეს მოსწონს სამხრეთ პროვინციების მმართველთა კანონიერი მოქმედება, კონსულების ენერგია და გემების უფროსების მოქმედება. ეპისტოლე გაიხსენებს 1900 წლის 20 ნოემბერს გამოცემულ ცირკულიარს, რომელშიც მთლად არის მოყვანილი ამირიკის პროგრამა. მისი პოლიტიკაა—დაცულ იქმნას უცხოელ სახელმწიფოთა უფლებანი, თავისუფალი ვაჭრობა ყველა ქვეყნებისთვის ერთგვარად. ამერიკამ მიიღო რუსეთის წინადადება იმპერატორის უფლებათა აღდგენის შესახებ პეკინში, რადგანაც ამ საშუალებით უფრო ადვილად შეიძლება კითხვის მტკიცედ გადაწყვეტა. პრეზიდენტი თხოულობს სამაგალითო და შემზარავ დასჯას ნამდვილ დამნაშავეთა, მაგრამ ისე კი, რომ დაცულ იქმნას კეთილ-გონიერება და სწორე სამართალი. ის ამ გარემოებებსა სთვლის უმთავრეს პირობად და ამბობს, რომ ჩინეთს, სხვათა შორის, უნდა მოეთხოვოს, რათა მან მეტი თავდებობა იკისროს უცხოელების უფლებათა დაცვის საქმეში და თავისი ტერრიტორია ღია ჰქონდეს მსოფლიო ვაჭრობისათვის. შემდეგ მაკ-კინლეი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ყოველივე ღირსშესანიშნავი უთანხმოება საზღაურის გამო გაიგის სამედიატორო სამართლით გადასწყდეს. ეპისტოლე ამბობს, რომ ამერიკას საფრანგეთთან აქვს მეგობრული განწყობილება, გერმანიასთან—საკმაოდ კეთილი, რუსეთთან-კი—განუწყვეტლივ მეგობრული.

სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

ამას წინად ჩვენ მოკლედ გვქონდა მოყვანილი დეპუტატი ბებელის სიტყვა, რეიხსტაგში ნათქვამი ჩინეთის საქმეების შესახებ. მის წინააღმდეგ გამოულაშქრნია ცნობილ პასტორს შტეკერს, რომელიც სიბრაზით ლაპარაკობდა ოპოზიციის წინააღმდეგ და სწამებდა მას მამულის სიყვარულის უქონლობას, უზრდელობას და თითქმის გამცემლობასაც. მან მოიგონა პარიზის კომუნა, და ყველა იმ დროს მომხდარი საშინელება ბებელსა და მის მომხრეებს მოახვია თავზედ. ბებელმაც, რასაკვირველია, უპასუხოდ არ დასტოვა შტეკერის სიტყვა და თითქმის მთელი მეორე დღე რეიხსტაგის სხდომისა მოანდომეს ბებელის ლაპარაკს. საკვირველი მჭერ-მეტყველია ბებელი, მაგრამ მასაც ბევრჯერ არ ულაპარაკნია ისეთის გატაცებით და გულ-მხურვალებით, როგორც ამ დღეს ილაპარაკა, არწმუნებენ ყველა გაზეთების კორესპონდენტები. ბებელმა ხელ-მეორედ მიიზიდა და მიიპყრო ყურადღება დაქანცული პარლამენტისა. მსმენელების თვალ-წინ მწკრივად გაიარეს ყველა ფაქტებმა და ამბებმა, რომელ-

ნიც გამოიწვია ჩინეთის პოლიტიკამ: მისსიონერთა მოქმედება, ვალდერზეეს დანიშვნა, «ჰუნნური წერილები» ჯარის-კაცების ბარბაროსობაზედ და, ბოლოს, განგებ შტეკერის პასუხად, კომუნის დროს მომხდარი ამბები. ყველაზედ მძლედ აღელვა პარლამენტი ბებელისაგან წაკითხულმა ჯარისკაცის წერილმა, რომელიც ას-ის იყო, ბებელისათვის მოეტანათ. ამ წერილში ეწერა შემდეგი: «მე მხოლოდ რამდენიმე სიტყვას მოგწერავ. შენ ჯერც კი წარმოიდგენ, თუ რა ამბები ხდება აქა. პირველ ბრძოლაშივე რომ გავიმარჯვეთ, ახ, ნეტავი გენახა, თუ რა-ამბით შევედით ქალაქში.— ყველა, ვინც კი გზაში გვხვდებოდა—კაცი, ქალი, ბავშვი—ყველას მუსრს ვადებდით. რა საზარლად წიოდნენ და კიოდნენ დედა-კაცები! მაგრამ ბრძანება გვქონდა: არავინ დაინდოთო და ჩვენც მოვალენი ვართ, ეს ბრძანება შევასრულოთ!»

ბებელს ამ სიტყვას მეტი შთაბეჭდილება მოუხდენია, სინამ პირველს მის სიტყვას. «ნეიე ფრეიე პრესსის» კორესპონდენტი შემდეგს იწერება ამის შესახებ:

«ბებელს არ მოუყვანია ისეთი ციტატები, რომელთაც შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლოთ; ის ლაპარაკობდა წიგნიდან-კი არა,—გულიდან, და ზოგჯერ მისი სიტყვები ისეთის გულ-მხურვალებით წარმოითქმოდნენ, როგორიც ჯერ არავის გამოუჩენია ჩინეთის საქმეების გამო. იგი მკაცრად ჰკიცხავდა სამხედრო მინისტრს და ისეთ ყოფამდე მიიყვანა იგი, რომ ყველა დეპუტატები დარწმუნებულები იყვნენ—ბებელი მას ვერ გადაურჩებაო.

საბედნიეროდ, ბებელმა ასე დიდხანს ილაპარაკა მასსიების მოქმედებაზედ ჩინეთში და პარიზის კომუნის ამბებზედ, რომ სამხედრო მინისტრის მრისხანება, ცოტა არიყოს, დასცხრა. ეტყობოდა მარტო, რომ განერალი გოსლერი პასუხს ამზადებდა. ის ხან სავარძლიდან ადგებოდა და დაფიქრებით ჭერს შეჰხედავდა, ხან მიადგებოდა მინისტრების სკამის ბოლოზე და წყალს ისხამდა სურიდან. მე ჩემს დღეში არ მინახავს, რომ სამხედრო მინისტრს ამდენი წყალი დაელიოს».

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 22 ნოემბერს, ხელმწიფე მემკვიდრის და დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს-ძის დაბადებისა და სახელწოდების დღეს, ალექსანდრე-ნეველის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა გორის ეპისკოპოზის კირიონის მიერ წირვა და პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარჩინებულნი და დიდ ძალი საზოგადოება. დღისით ქალაქი შემკული იყო ბაირაღებით, საღამოს კი გაჩირაღდნებული.

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკანგებო კრებამ სამშაბათს, 21 ნოემბერს, მოისმინა-რა გუბერნიის მარშლის მოხსენება, რომ მთავარ-მართებლის მეუღლემ კნ. მ. თ. გოლიცინისამ შესწირა 30 ათასი მანათი წმ. ნინოს ტფილისის სასწავლებლისათვის საავადმყოფოს დასაარსებლად, დაადგინა თავად-აზნაურობისაგან უღრმესი მადლობა გამოეცხადოს კნ. გოლიცინისას ამგვარ უხვ შემოწირულებისათვის.

◆ იმავე კრებაზე თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილმა მოახსენა დამსწრე თავად-აზნაურობას, რომ ტფილისიდან კახეთში მიმავალი გზა მეტად უვარგისია და შეკეთებას თხოულობსო. გუბერნიის მარშალმა თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა აღუთქვა კრებას, რომ ამ საგნის შესახებ მოლაპარაკებას გამართავს საგუბერნიო ადმინისტრაციასთან.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე პეტერბურგიდან დეკემბრის დამდეგში დაბრუნდება.

◆ სამშაბათს, 21 ნოემბერს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას დაუდგენია საზოგადოების მდივანი ბ-ნი **ალ. მიქაბერიძე** გადაყვანილ იქმნეს სათავად-აზნაურო სკოლაში ლათინურის ენის მასწავლებლად და ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, ხოლო მის ადგილზე საზოგადოების მდივნად დაინიშნოს ბ-ნი **პეტ. მარიანაშვილი.**

◆ სახალხო თეატრში სამშაბათს, 21 ნოემბერს, სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს კ. მესხისაგან გადმოკეთებული ხუთ მოქმედებიანი დრამა „თამარ ბატონიშვილი“. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. განსაკუთრებით ხალხზე დიდი გავლენა იქონია მეოთხე მოქმედებაში ელიზბარის ციხეში ტანჯვამ, იმდენად, რომ ზოგიერთნი სტიროდნენ კიდეც. ხალხი იმდენად ბევრი მიაწყდა წარმოდგენას, რომ უადგილობისა გამო ბევრი ისევ უკან დაბრუნდა.

◆ ჩვენი გაზეთის უკანასკნელ №-ში მეტად **სამწუხარო შეცდომა** მოგვივიდა. გამოცხადებულია ოქროპირ ელისბარის ძის ხევცურიანის გარდაცვალების ამბავი, მაშინ, როდესაც ეს პატიოსანი მოღვაწე მხოლოდ მძიმე ავადმყოფი ყოფილა და ახლა უკეთ გამხდარა. ჩვენ შეცდომაში შეგვიყვანა ავადმყოფის ერთმა ნაცნობმა, რომლისთვისაც საფუძველი არ გვქონდა, არ დაგვეჯერებინა. როგორც აღმოჩნდა, იგიც სხვებს შეუყვანიათ უნებლიეთ შეცდომაში. ბოდიშს ვიხდით რა ავადმყოფის წინაშე, ვისურვებთ, რომ გამართლებულიყოს ხალხური რწმენა, რომ ვისაც სიკვდილის ხმას დაუგდებენ, ის დიდხანს იცოცხლებსო...

◆ „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, ამ ჟამად გროვდება ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი **ზარალი** მოუვიდა წელს სხვა და სხვა სოფლებს **წყალდიდობისაგან** და აგრეთვე იმის შესახებ, მიღებულია თუ არა ზომები წყალდიდობის წინააღმდეგ.

◆ ტფ. საგუბერნიო მმართველობას გარდაუწყვეტია შეაკეთოს **მდ. ლიახვზე არსებული ხიდი** გორის მაზრაში, რადგანაც იგი იმდენად გაფუჭებულია, რომ მასზე მიმოსვლა საშიშარიც შექნილა.

◆ **ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის ხარჯთ-აღრიცხვა**ში მომავალ წლისთვის დანიშნულია 139,808 მან. ქალაქის გამგეობისა, მსახურთა და საქალაქო დაწესებულებათა მმართველ-მოხელეების შესანახად; წარსულ წელს ამ საგნისთვის გადადებული იყო 116.235 მანეთი.

◆ სოფელ სვირიდან (ქუთაისის მაზ.) გვწერენ: „თითქმის ეს ერთი თვეა, აქ მძვინვარებს რაღაც ყელჩირვების მსგავსი **ავადმყოფობა**; როგორც გლეხები ამბობენ, ეს სენი პირველად აქაურ ორ კლასიან სკოლის მოწაფეებს გამოსჩენია და იქიდან მთელს სოფელს მოსდებია. სოფლის საზოგადოების ადგილობრივი მზრუნველები გულგრილად უყურებენ ამ საშიშარ სენის მსწრაფლ-მსვლელობას, რომელსაც ამ მოკლე დროში ათამდე უმსხვერპლია. ავადმყოფთა რიცხვი დიდძალია და საეჭვო არ არის, კიდევ ბევრს მოუღებს ბოლოს, თუ არ იქმნა წესიერი საშუალება ამ სენის საწინააღმდეგო საბრძოლველად მიღებული.

ნივთიერად ეს საზოგადოება ერთ საუკეთესო შეძლებულ საზოგადოებათ ითვლებოდა მთელ ქუთაისის მაზრაში, რომ ფილოქსერას არ გაენადგურებინა ვენახები. თუმცა ახლა ნივთიერად ბევრად დაქვეითებულნი არიან უწინდელზე, მაგრამ თავიანთ საბედნიეროდ არ დაზოგავდნენ ერთი ექიმის შესანახ ფულს, რომ ვინმე სინიდისით და გულმოდგინედ შესდგომოდა ამ ხალხის საჯანმრთელო დაწესებულების დაარსებას.

ამ მოკლე ხანში საზოგადოება ელის ახალი მოხელეების არჩევნებს მომავალი სამის წლისათვის; ბევრს სურს ჩამოიკიდოს ჯაჭვი კისერზე, მაგრამ... „ბევრნი არიან წვეულნი, ხოლო მცირედი—რჩეულნი“...

◆ სოფ. ხუნევიდან (შორაპნის მაზრა) გვწერენ: „6 ნოემბერს, ბელაგორის ნაწილის ბოქაულის განკარგულებით, შესდგა საზოგადო ყრილობა ხუნევის სასამართლო ეზოში **სოფლის ახალ მოხელეების ასარჩევად.** არჩევნების დაწყებამდე ბელაგორის ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა ლოლობერიძემ სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც დაწვრილებით და გაგებულად აუხსნა ხალხს რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლიან საზოგადოებისათვის რიგიანად შესმენილთ და პატიოსან მოხელეებს. ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, ერთხმად აირჩიეს მამასახლისად მილიციაში ნამყოფი უნტერ-ოფიცერი გლეხი ს. ჩადუნელი. შემდეგ მოხელეების არჩევისა ბოქაულმა ისევ მიჰმართა ყრილობას სიტყვით, რომ მათი ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი გადაექციათ ორ კლასიანად, რადგან მას უფრო ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლიან საზოგადოებისათვის. ხალხმა ყურადღებით მოისმინა ბოქაულის სიტყვა და გამოაცხადა სურვილი და განაჩენიც დაადგინა.

◆ მოგვივიდა № 7 ტფილისში არსებულ ფრანგულის ჟურნალისა „Le Caucase Illustré“, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია: ქართული ანდაზები, ჩვენის არტისტის ვ. აბაშიძის მოკლე ბიოგრაფია და დახასიათება (სურათით), ეტნოგრაფიული წერილი მეგრელების შესახებ, მე-XVI საუკუნის ქართულ ხელთნაწერი სახარების შესახებ და სხვა.

◆ გუშინ, 22 ნოემბერს, პასკევიჩის ქუჩაზედ, როტინიანცის სახლში უეცრად გარდაიცვალა გერმანიის საგენერალო კონსული ემილ ობერგი. მიზეზი კონსულის ასეთი უეცარი გარდაცვალებისა ჯერ არ იციან; როგორც მოწვეულ მკურნალთა შემოწმებითა სჩანს, კონსულს გული გახეთქია და ამისგან გარდაცვლილა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი გარდაცვალების ნამდვილ მიზეზის გამოსარკვევად. განსვენებული ცოტა ხანია, რაც ტფილისში ჩამოვიდა და ეხლავე შესდგომია ქართულის ენის შესწავლას.

◆ ორშაბათს, 20 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ველიამინოვის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა სახლში, უნახავთ უეცრად გარდაცვლილი რუსიის დამზღვევ საზოგადოების ბუღალტერი ნ. ნ. დიმიტრიევი. გარ-

დაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში იქმნა გაგზავნილი.

ქალაქის საბჭო.

ორშაბათს, 20 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს სხდომაზე ხმოსან ბაღდასაროვის განცხადებისა გამო გამგეობამ წარუდგინა საბჭოს ცნობები ბაზარში ღორის ხორცზე ნიხრის დაწესების შესახებ; როგორც მოხსენებიდგან სჩანს, ნიხრის დამწესებელ კომისიას საცდელად დაუკლავნებია ღორები და გამოურკვევია, რომ უსარგებლოდ გირვანქა ღორის ხორცი 7, 17 კაპ. ღირებს, ხოლო მოგებით ხარჯების დასაფარავათ პირველი ხარისხი 15 კაპ., მეორე—13 კაპ. და მესამე—10 კაპ. საბჭომ დაადგინა დროებით დაწესებული იქმნეს ქალაქის გამგეობისაგან დამტკიცებული ნიხრი ღორის ხორცზე. საბჭოს მოხსენდა აგრეთვე ქალაქის ბორანის იჯარით გაცემის საქმე. პირველ საჯარო ვაჭრობით ეს საქმე დარჩენია ბ. ისაკოვს 8500 მანეთად; მეორე დღეს ბუდაგიანს განუცხადებია, რომ მე არ გამიგიათ, თორემ ქალაქისათვის გაზლოდ ბორანის იჯარად 10,200 შემოვიტანდიო. ამიტომ ქალაქის გამგეობას დაუნიშნავს ხელ-მეორედ საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც ერთმანეთს შეჯიბრებიან ისაკოვი და ბუდაგიანი; ბუდაგიანს უკანასკნელ საიჯარო ფასად 11,000 მან. გამოუცხადებია, რომელსაც უკვე ხელს დართო მოიჯარადრობისა. საბჭომ მიიღო გამგეობის ამ საქმეზედ დადგენილება. ხმოსანთა შორის გამოთქმა გამოიწვია ქალაქის გამგეობის მოხსენებამ საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან ასის წლის საიუბილეო დღესასწაულის აღსანიშნავად ქალაქის გამგეობის ამა წლის 13 სექტემბრის დადგენილების ხელ-მეორედ განხილვის შესახებ. ხმოსანთა უმრავლესობამ უარი განაცხადა აღნიშნულ დადგენილების არსებითად ხელ-მეორედ განხილვის შესახებ და დაადგინა, თანახმად ქალაქის გამგეობის და კომისიის შეერთებულ სხდომის დადგენილებისა, განახლებულ იქმნეს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ქ. ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ; გაიმართოს ხელის მოწერა მთავრობის ნება-რთვით დღიდან ტფილისში პოლიტეხნიკუმის დასაარსებლად ნებართვის მიღებისა და ხელის მოწერის დაწყებისათანავე ქალაქმა თავისის მხრით გადასდოს 30,000 მან. ერთხანად და ყოველ წლობით პოლიტეხნიკუმის დაარსების დღიდან ამ საქმისათვის ქალაქს აქვს უკვე გადადებული 100,000 მანეთი. საბჭომ აგრეთვე დაამტკიცა აზრი მომავალ სასოფლო სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღების; პოლიტეხნიკუმი დაარსებულ იქმნება რუსეთის გარდაცვალებულ იმპერატორის ალექსანდრე I სახელობაზედ. შემდეგ, რადგანაც უკვე აღმოჩნდა, რომ ხმოსანთა რიცხვი 40 აკლდა, საბჭო შეუდგა დიდის ხნობით დარჩენილ ოთხის საქმის განხილვას; საბჭომ, გამგეობის დადგენილების თანახმად გადასწყვიტა მიიღოს პოლიციის მეათე ნაწილში პეტრუსა მაკაროვისაგან დათმობილი ადგილის ნაჭერი ქუჩისათვის იმ პირობით, რომ ეს ქუჩა მოკირწყლულ იქმნეს მაკაროვისავე ხარჯით; საბჭომ დაუთმო აგრეთვე ბოტანიკური ბაღის აღმართში, ტფილის-ქუთაისის მეჯლისის შუამდგომლობის თანახმად, მეჩეთის ეზოს გასაფართოვებლად 40 საჟ. მიწა იმ პირობით, რომ როდესაც ქალაქი დაამტკიცებს ამ ადგილის საკუთრებად სულ უფასოდ დაუთმოს იგი მეჯლისს. დასასრულ, საბჭომ, რამდენიმე წვრილმან საქმეების განხილვის, შემდეგ დაადგინა გადასდოს 250 მანეთი ალექსანდრე ფუხსის სასარგებლოდ, რადგანაც მას ქალაქმა პირობა გაურღვია ქალაქის დუქნების იჯარით აღების შესახებ.

რედაქტორი: ალ. ჭყონია. გამომცემელი: ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ 1900 წლის 30 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში, ქუთაისში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით დაბა ჭიათურაში სამრეწველო საურმე გზების გაკეთება 8800 მან. ღირებულობისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს გირაო ფულად ან სარგებლიანი ქაღალდებით საიჯარო ღირებულობის ათი პროცენტი. ხარჯთ-აღრიცხვა, გეგმა და პირობები შეიძლება განიხილონ ყოველ-დღე საბჭოს სადგომში. ვაჭრობის გარდაწყვეტილება საბჭომ უნდა დაამტკიცოს. (ნ. 3—1)

დაიბეჭდა და იყიდება დ. კლდიაშვილის მოთხრობა

ქამუშაძის გაჭირვება

ტფილისში: წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. ქუთაისში: ვ. მექანეიშვილის და ბათუმში—სპ. ქელიძის მაღაზიებში. (5—3)

Открыта подписка на 1901 г.

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Газета будетъ выходить въ 1901 году подъ прежней редакцiей и по прежней программѣ.

Съ цѣлью удовлетворить все болѣе развивающуюся потребность въ чтенiи, **форматъ** газеты съ конца вынѣшняго года будетъ **увеличенъ.**

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

СЪ ДОСТАВКОЙ И ПЕРЕСЫЛКОЙ:

На 12 мѣсяцевъ	10 р. — к.	На 6 мѣсяцевъ	6 р. — к.
„ 11 „	9 р. 50 к.	„ 5 „	5 р. 25 к.
„ 10 „	8 р. 75 к.	„ 4 „	4 р. 75 к.
„ 9 „	8 р. — к.	„ 3 „	3 р. 50 к.
„ 8 „	7 р. 25 к.	„ 2 „	2 р. 75 к.
„ 7 „	6 р. 50 к.	„ 1 „	1 р. 50 к.

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на 3 мѣсяца—5 р.

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногороднихъ, обращающихся непосредственно въ контору редакцiи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условiяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р. Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—7 р., на полгода—4 р.

Лица, подписывающiяся на будущiй годъ, получаютъ газету въ нынѣшнемъ году безплатно.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Книги, издаваемыя редакцiею, будутъ продаваться подписчикамъ „Нов. Об.“ съ уступкою 50%. (ვ. 3—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1901 ГОДЪ

(32-й годъ изданiя)

на еженедѣльный иллюстрированный

ЖУРНАЛЪ НИВА.

со многими приложенiями

Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченiе 1901 года:

52 №№ художественно-литературнаго журнала „НИВА“ (около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ). Въ нумерахъ журнала, между прочимъ, появятся: 1) еще нигдѣ не напечатанныя посмертныя произведенiя **Д. В. ГРИГОРОВИЧА**: „Очерки Венецiи“ и „Изъ записной книжки“ (характеристика выдающихся современ. русскихъ дѣятелей и анекдоты изъ ихъ жизни); 2) рядъ статей со множествомъ рисунковъ, картъ и пр. подъ заглавiемъ: **„XIX ВѢКЪ“.** Эти статьи дадутъ читателю полную картину жизни истекающаго столѣтiя и составятъ отдѣльный роскошный томъ.

24 ТОМА полн. собранiя сочиненiй **Г. П. ДАНИЛЕВСКАГО** съ портретомъ, факсимиле и бiографическ. очеркомъ. Полное собранiе соч. Г. П. Данилевскаго, *стоящее въ отдѣльной продажѣ* 15 руб., будетъ отпечатано на хорошо глазированной бумагѣ и будетъ приложено при „Нивѣ“ въ теченiе одного 1901 года подъ заглавiемъ: „Сборникъ Нивы“, въ 24 томахъ—по два тома въ мѣсяцъ, такъ что „Сборникъ Нивы“ 1901 года, по количеству матерiала для чтенiя, значительно превзойдетъ „Сборники“ всѣхъ прежнихъ лѣтъ.

12 КНИГЪ „ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРНЫХЪ ПРИЛОЖЕНIЙ“, содержащихъ романы, повѣсти, разсказы, популярно-научныя и критическiя статьи и проч.—современныхъ авторовъ.

12 №№ „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ“, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ по фасонамъ лучшихъ мастеровъ.

12 ЛИСТОВЪ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

„Стѣнной календарь“ на 1901 г., печатанный красками.

Подписная цѣна на годовое изданiе со всѣми приложенiями: безъ доставки: 1) въ СПБ.—5 р. 50 к. 2) въ Москвѣ, въ конт. Н. Н. ПЕЧКОВСКОЙ (Петровск. линiи)—6 р. 25 к. 3) въ Одессѣ, въ кн. маг. „ОБРАЗОВАНIЕ“ (Ришельевск. № 12)—6 руб. 50 коп. СЪ ДОСТАВКОЙ ВЪ С.-ПЕТЕРБУРГѢ—6 руб. 50 коп. Съ пересылкою во всѣ мѣстности Россiи 7 руб. За границу—10 руб.

Требованiя просятъ адресовать: въ **С.-Петербургъ, въ Главную Контору журнала „НИВА“ (А. Ф. Марксу)**, Малая Морская, д. № 22. (ნ. 3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Ноября 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა, განქის დიდი ქუჩა, № 27.